

კავკასიის უნივერსიტეტის  
კავკასიის მედია სკოლა  
15/04/2011

## ქართული გლობურული ტელეგადაცემების გავლენა მოზარდებზე

ავტორი: ლიკა ჩხილაძე

თემის სელმძღვანელი: ეკატერინე ბასილაია

თბილისი  
2011

## **სარჩევი:**

აბსტრაქტი	1
შესავალი	2
ლიტერატურის მიმოხილვა	3
მეთოდები	7
ინტერვიუ	7
ბიბლოგრაფია	9

## აბსტრაქტი

მიმდინარე კვლევა ეხება იმის გარკვევას, თუ რა გავლენას ახდენს მოზარდებზე თანამედროვე გლამურული გადაცემები. კვლევის ობიექტი ქართულ მედია-ბაზარზე არსებული 2 არხის “რუსთავი 2”-ისა და “იმედის” გადაცემებია. კვლევა აღწერს მდგომარეობას, რომელიც არის ბოლო 3 თვის განმავლობაში შემდეგ გადაცემებში:

- “თბილისი LIVE”
- “პროფილი”
- “დღის შოუ”
- ყოფილი ცოლების კლუბი”

საკვლევი ობიექტია 14-19 წლამდე ასაკის მოზარდი გოგონები. მათი სტატისტიკური რაოდენობა საქართველოს მასშტაბით შეადგენს 167.3 ათასს.

## შესავალი

დღეს უკვე დიად საუბრობენ იმ თემებზე, რომლებიც წლების წინ დახურული იყო, მაგალითად, სექსზე, მკერდის ზომაზე, პლასტიკურ თაქრაციებზე და ა.შ. ტელე-ბაზარზე ჩნდება ამ თემებით სავსე ახალ-ახალი გადაცემები. საქართველოს ფარგლებში ამ თემაზე კვლევა არ ჩატარებულა. კვლევის მიზანია, დაზუსტდეს, თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მოზარდი გოგონების ფსიქიკაზე ამ გადაცემებს.

დროთა განმავლობაში, როცა მსოფლიო გენდერული თანასწორობისკენ მიისწრაფვის, უფროდაუფრო იზრდება ქალის როლი საზოგადოებაში. 20-ე საუკუნეში გაბატონებული იყო ანდროცენტრული კულტურა, რომლის მიხედვითაც მამაკაცი განასახიერებს კაცობრიობას, ქალი კი უბრალოდ მამაკაცს დაქვემდებარებული დამატებაა. ამავე საუკუნეში, საქართველოში ქალის როლი მიიჩნეოდა ისეთნაირად, რომ ქალი არის ოჯახის დედა, რომელმაც მხოლოდ სახლის საქმე უნდა აკეთოს და მამაკაცს დაემორჩილოს.

ეს მენტალიტეტი, ქართული ტრადიციული კულტურა, 20-ე საუკუნესთან ერთად წარსულში დარჩა. ახალმა ეპოქამ, თავისთავად, სიახლეები მოიტანა და ქართული ტრადიციებიც შეცვალა. ქალი მყარად იკიდებს ფეხს სზოგადოებაში და იძენს ძალაუფლებას, რომელიც მამაკაცისას დიდად არ ჩამოუვარდება. დღესდღეობით, არსებობს მრავალი ოჯახი, სადაც სათავეში ქალი დგას და მართვის სადავეებსაც ფლობს.

ზოგადი სურათი კი გვაჩვენებს, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები გათანაბრდა. 2004 წლის 14 აპრილს Forum.ge-ზე დაისვა კითხვა: “როგორი უნდა იყოს ქალის როლი ქართულ საზოგადოებაში?” 4 ალტერნატიული პასუხიდან ყველაზე მეტი ხმა ერთმა მიიღო. გამოკითხულთა უმრავლესობა ანუ 46.27% პასუხობს, რომ ქალი 100%-ით თანასწორუფლებიანია მამაკაცთან მიმართებაში.

ქალის ყურადღება საგრძნობლად გადერთო გარეგნობის გაუმჯობესებაზე, სასურველი ფიგურის შენარჩუნებასა და მუდამ ფორმაში ყოფნაზე. ამ ყველაფერზე ინფორმაციის მისაღებად, ქართული ტელევიზია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის ისეთ გადაცემებს ქმნის, რომლებიც დაეხმარება გარეგნობასთან თუ საზოგადოებაში აღგილის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სურვილების განხორციელებაში.

## ლიტერატურის მიმოხილვა

საყოველთაოდ გაზიარებულია ის ფაქტი, რომ მედიას შეუძლია ხალხზე გავლენის მოხდენა. თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში დაობდნენ მეცნიერები იმ საკითხზე, თუ ვიზე შეიძლება იქონიოს მედიამ გავლენა და როგორი ხარისხით. ინდივიდები და საზოგადოებები შესაძლოა მოქმედნენ როგორც საინფორმაციო, ისე გასართობი გადაცემების ზეგავლენის ქვეშ.

1960-70-იან წლებში ცნობილმა მკვლევარებმა (მაქქომბს&შოუ, 1972; მაქლუან, 1964.) დაიწყეს სიღრმისეულად გამოკვლევა იმისა, თუ რა ნათესაობა აკავშირებს მედიას ცნობიერებასთან, დამოკიდებულებებთან და ძალადობასთან. მკვლევარები შეთანხმდენ, რომ ისეთი დაუცველი ჯგუფი, როგორიც მოზარდები არიან, უფრო მეტად ექცევა მედიას გავლენის ქვეშ, ვიდრე სხვა ჯგუფები. მედია უდიდეს გავლენას ახდენს თინეიჯერების ცხოვრებაზე, მათი ჩატის სტილზე, საუბარზე, ქცევასა და ფიქრებზე.

ზოგადად, მკვლევარისთვის ერთ-ერთი მთავარი სირთულეა მედიას ეფექტების გაზომვა. შეუძლებელია მკვლევარმა აკონტროლოს ინდივიდის მიერ მედიას მოხმარება ასაკის, რასის, სოციო-ეკონომიკური სტატუსის, ფასეულობების და არსებული გამოცდილებების მიხედვით.

(ბრაიანთ&თომფსონ, 2002; მაქქომბს&შოუ, 1972; მაქლუან, 1964.).

ბოლო წლებში, სიღრმისეულად განიხილავენ ადამიანის ქცევას კომუნიკაციების დროს, სადაც გამოიყოფა 2 ძირითადი კლასი: ევოლუციონური პერსპექტივა (Evolutionary Perspective) და სახასიათო შერიხის პერსპექტივები (Trait Perspectives). ევოლუციური პერსპექტივა გვაძლევს იმ კითხვაზე პასუხს, თუ რატომ იქცევიან ადამიანები კომუნიკაციის დროს პომინიდური (თანამედროვე და ნამარხი ადამიანები) ევოლუციონური გამომდინარე. ენა და ინტერპერსონალური კომუნიკაციები, ისევე როგორც საზოგადოებისა და კულტურის შექმნა და შენარჩუნება მიიჩნევა, როგორც პომინიდების ადაპტაცია გარემოსთან. დარვინის მსგავსად, ადამიანის ტვინი არის გარემოსთან ადაპტირების 200.000 წლიანი ევოლუციის პროცესში ანუ ტვინის ფსიქოლოგია არა უბრალო შემთხვევითობა, არამედ ბუნებრივი შერჩევის გრძელვადიანი პროგრესის შედეგია. ეკმანი (1973) ამტკიცებდა, რომ დარვინი იყო კომუნიკაციის პირველი არავერბალური მკვლევარი. დარვინის წიგნი (1873) “ემოციების გამოხატულება ადამიანებსა და ცხოველებში” ასაბუთებდა, რომ სახის ისეთი ემოციური მიმიკები, როგორიცაა გაბრაზება, შიში და ბედნიერება ევოლუციის შედეგია.

შუმეიქერმა (1996) გამოიყენა ევოლუციური პერსპექტივა იმისათვის, რომ აეხსნა ადამიანის მოჯადოება ნეგატიური ახალი ამბების მიერ (ტრაგედიები, კატასტროფები). იგი პოსტულატად მიიჩნევდა, რომ ჩვენი ადრეული წინაპრები ავითარებდნენ დაკვირვების ფუნქციას, რათა თადარიგი დაეჭირათ მოსალოდნელი ხიფათისთვის. ასეთი ადამიანები ყოველთვის მზად იყვნენ და არ შინდებოდნენ მტაცებლების წინაშე. როგორც ჩანს მათი გენეტიკა მომავალ შთამომავლობებსაც გადმოეცათ.

წლების შედმებ, ნეგატიური გარემო ტვინის სტრუქტურას ბუნებრივად შეერთო. ამიტომ, ხალხს რკინის ნერვები აქვს ნეგატიური ამბების მოსასმენად.

ხახასიათო შტრიხის პერსპექტივა - ევოლუციონურ ფსიქოლოგიაში არსებობს მრავალი საბუთი იმისა, რომ ადამიანები იბადებიან ბიოლოგიურად განსხვავებული ინდივიდუალურობით. ესეიგი, მათი ქცევა ერთი და იმავე სიტუაციაში განსხვავებულია. მკვლევარები (ბეთი, მაქქროსკი&პეტრი, 1998; ბეთი, მაქქროსკი&ვალენიკი, 2001; მაქქროსკი&ბეთი, 1998) წერდნენ, რომ ტემპერამენტი არის კომუნიკაციის დროს ადამიანის ქცევის ინდივიდუალური გამოხატულება ანუ კომუნიკაციის აღქმა. მედია ეფექტების მკვლევარებმა (საარქს&სფირექ, 1988; კრემარ&გრინი, 1999;) დაადგინეს, რომ ტელევიზორთან ყველაზე დაუცველები მოზარდები არიან.

მკვლევარმა ჯონ შერიმ (2004) ჩაატარა კვლევა მედია ეფექტების შესასწავლად. დაახლოებით 30 წლის წინ, ტომასმა და ჩესმა (1977) შემოგვთავაზეს ადამიანის განვითარების თავიანთი ვერსია, რომელიც შედგებოდა ბუნებრივი (ევოლუციონური) და შეძენილი (სახასიათო შტრიხი) პერსპექტივებს შორის მიღწეული შეთანხმებებისგან. მას შემდეგ, უდიდესი წინსვლები განიცადა ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლაში. მედია ეფექტების მკვლევარებისთვის უკვე წარსულში დარჩა ტომასისა და ჩესის მიერ შემოთავაზებული ინტერაქციული პერსპექტივები. თანამედროვე მკვლევარებისთვის ის ფაქტი ეჭვება შ აღარ დგას, რომ ბუნებრივი პერსპექტივები მჭიდროდ ურთიერთქმედებს შეძენილთან და რომ ისინი ამ ურთიერთქმედებით განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას. სხვა ადამიანურ მეცნიერებათაგან განსხვავებით, კომუნიკაცია სერიოზულად არასდროს ჩაბმულა ბუნებრივი და შეძენილი პერსპექტივების დებატებში. კომუნიკაციის მკვლევარებმა შეიმუშავეს ადამიანური კომუნიკაციის შესახებ ცალმხრივი აზროვნება, რომელიც გვაწვდის მთავარ ქვეტექსტებს თეორიის სიმდიდრისათვის. თუ კომუნიკაციის მკვლევარები დარჩებიან მეოცე საუკუნის ონთოლოგიით აღფრთვანებულები და დააიგნორებენ ქცევაზე ბიოლოგიური გავლენის არსებობას, მაშინ განჩდება რისკი იმისა, რომ არსებული თეორები მოძველდება და მოდიდადნ გადავა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ მომავალში სწავლულების აზროვნების მეთოდები მასკომუნიკაციების შესახებ შეიცვალოს და მედიის ეფექტების შესწავლისთვის საჭირო იქნება ბიოლოგიისა და გარემოს ურთიერთქმედებების განხილვა (ჯონ ლ. შერი, ფურდუს უნივერსიტეტი, 2004).

მკვლევარებმა პოფშირმა და გრინბერგმა (2002) შეისწავლეს, თუ როგორ ახდენს მედია გავლენას მოზარდებზე. კვლევის შედეგად, მათ დაადგინეს სამი რამ:

1. თინეიჯერები დიდი დოზით უყურებენ ტელუ-გადაცემებსა და საპნის ოპერებს, რომლებიც ხაზს უსვამს იდეალური სხეულის ფორმებს. ამიტომ, მათ გონებაში მკვიდრდება და იზრდება საკუთარი სხეულით უკმაყოფილების გრძნობა. 2. ჟურნალების კითხვა, ასევე, აიძულებს მოზარდ გოგონებს საკუთარ გარეგნობაზე კრიტიკულად იფიქრონ. 3.

ტელევიზიის ვარსკვლავებისა და მოდელების მიბაძვაც ზრდის სხეულით უკმაყოფილო გოგონების რიცხვს (პოფშირი&გრინბერგი, 2002).

კომუნიკაციების პროფესორმა, დოქტორ ნენსი სიგნორიელიმ (1997) გამოიკვლია მედიის ის ტიპები, რომლებსაც ხშირად უყურებენ მოზარდები: ტელევიზორი, ფილმები, მუსიკალური ვიდეოები, ჟურნალები და რეკლამები. სიგნორიელის კვლევამ აჩვენა, რომ მედიაზე დამოკიდებული ბიჭები უფრო აგრესიულები იყვნენ და მათში ძალადობრივი ინსტიქტები ჭარბობდა, ხოლო გოგონები გამუდმებით ფიქრობდნენ საკუთარ გარეგნობაზე და დაინტერესებულნი იყვნენ რომანტიკითა და პაენებით (დრ.სიგნორიელი, დელავარის უნივერსიტეტი, 1997).

ზემოთ აღნიშნული კვლევების ჩატარების შემდეგ, ყველა მკვლევარმა შედეგად მიიღო ის, რომ ტელევიზიით მსგავსი საკითხების გაშუქება გავლენას ახდენს მოზარდებზე. თუმცა მათი საკვლევი სეგმენტი განსხვავდება მიმდინარე კვლევის სეგმენტისაგან. ეს კვლევები განხორციელდა ამერიკაში, საქართველოსგან განსხვავებულ ქვეყანაში, სადაც შესაბამისად განსხვავებული კულტურა, შეხედულებები და ფასეულობები არსებობს. ფართოდაა აღიარებული, რომ საქართველო ტრადიციული ქვეყანაა და ამ ტერიტორიაზე შესაძლებელია სხვაგარი მდგომარეობა იყოს ამ საკითხის ფარგლებში. მხოლოდ ამ კონკრეტული კვლევების და მთლიანად მომხმობილი ლიტერატურის საფუძველზე ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოშიც ეს სიტუაციაა. კვლევის დასრულების შემდეგ გამოიკვეთება, რამდენად განსხვავდება ან არ განსხვავდება ერთმანეთისგან ქართველი და ამერიკელი მოზარდების ფსიქოლოგია ამ კუთხით და როგორ აღიქვამენ ისინი მედიის მიერ დაგზავნილ მესიჯებს/შეტყობინებებს. საქართველოში მსგავს თემაზე კვლევა არ ჩატარებულა და არ შეგვიძლია, ამავე ტერიტორიის ფარგლებში არსებული კვლევები მოვიხმოთ ლიტერატურის მიმოხილვაში. სწორედ ამიტომ გვიწევს, მხოლოდ საზღვარგარეთული კვლევების მაგალითზე დაყრდნობა.

საკითხები უფრო სიღრმისეულად გარკვევისათვის, აღვწერთ ბოლო 3 თვის განმავლობაში საკვლევი გადაცემების ირგვლივ არსებულ სიტუაციას.

“თბილისი LIVE” ყველანაირ დონისძიებას აშუქებს, რომელიც შოუ-ბიზნესთან, სელებრითებთან, მოდასთან არის დაკავშირებული. რესპონდენტები ღიად და ხშირ შემთხვევაში, ცენტურის გარეშე საუბრობენ. გადაცემის დაჯილდოვების ცერემონიალზე 2010 წლის საუკეთესო წყვილად მაღაზაზე ქვრივიშვილი და მისი მეუღლე დასახელდნენ. როგორც თვითონვე თქვეს, განსხვავებულობის მიზნით, ჯილდოს მიღება სცენაზე მხერვალე კოცნის ფორმით გამოხატეს. ეს იქამდე გაგრძელდა, სანამ გადაცემის წამყვანმა შეჩერებისკენ მიუთითა. წამყვანი ერთ-ერთი მოდურად ჩატარებული, თავისუფალი თბილისელი გოგონაა, რომლის ელიტარული ცხოვრებაც გადაცემის მაყურებლის დიდი ნაწილისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენს.

“პროფილი” არის თოქშოუ, რომელსც არ აქვს პოლიტიკური ხასიათი და ორიენტირებულია ადამიანების სენტიმენტალურ და მხიარულ ისტორიებზე. ელიტური საზოგადოება “პროფილის” ხშირი სტუმარია. ისინი გულახდილად საუბრობენ საკუთარი სილამაზის განმაპირობებელ ფაქტორებზე, ინტიმურ ურთიერთობებზე და ა.შ. დაახლოებით ერთი თვის წინ, წამყვან - მაია ასათიანსა და რესპონდენტ - შორენა ბეგაშვილს შორის გაირჩა შორენას მკერდის ზომა, რომელიც მისივე თქმით, გადიდებულია პლასტიკური ოპერაციის შედეგად. იმ საღამოსვე, სოციალურ ქსელ - facebook-ში დრო დაეთმო ამ ფაქტის გარჩევას და რამდენიმე მომხმარებელმა, ბეჭდური სახით, წამყვანსა და რესპონდენტს შორის არსებული დიალოგი გამოაქვეყნა.

“დღის შოუ”-ს წამყვანების საუბრები ინტიმურ თემებს, თავის მოვლის საშუალებებს, ცნობილ ადამიანებსა და სოციალურ პრობლემებსაც კი ეხება. ეს არის გადაცემა, სადაც ღიად ჭორაობენ (თვითონ ასე უწერიათ გადაცემის აღწერაში!!!) თბილისურ ამბებზე. თებერვალში სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, ცნობილმა ბრენდმა - კოკო შანელმა პრეზერვატივები გამოუშვა. გადაცემის ერთ-ერთი წამვანი, ია ფარულავა, ღიად ამბობდა, რომ ძალიან უნდოდა შანელის პრეზერვატივის ქონა.

“ყოფილი ცოლების კლუბი” გადაცემაა, რომელიც ქმრისგან მიტოვებულ ქალებს, “ისეთ ქალებს, რომლებიც მოატყუეს, დაამცირეს და მიატოვეს”([www.imedi.ge](http://www.imedi.ge)), თავდაჯერებულობას და ახალი ცხოვრების დაწყების სტიმულს აძლევს. წამყვანები ცდილობენ გადაცემის გმირის მდგომარეობის რეაბილიტაციას იმიჯის შეცვლით, წარსულისგან დატოვებული ნივთების განადგურებით. ერთ-ერთი გმირი ჩიოდა, რომ ქმარი სცემდა, განათლების მიღების საშუალებას არ აძლევდა და სასწავლებელში სიარულს უკრძალავდა. მეორე გმირის ისტორია თდნავ განსხვავებული იყო. მისი ქმარი რუსეთში წავიდა, იქ რომანი გააპა საკუთარი დედის მეგობართან, შემდეგ ისევ ცოლთან დაბრუნდა, შემდეგ კი საბოლოოდ მიატოვა და ისევ რუსეთში წავიდა. სხვა გმირებსაც დაახლოებით მსგავსი პრობლემები აქვთ მეორე ნახევრებთან და გადაცემაში მონაწილეობის მიღებით, ქმრის შარვლის დაწვით ან ნაჯახით დაჩეხვით შლიან წარსულს მესხიერებიდან.

მიმდინარე კვლევა შეეცდება პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

- რა სიხშირით უყურებენ მოზარდი გოგონები ამ გადაცემებს?
- რატომ უჩნდებათ მოზარდებს “სელებრიოთების” მიბაძვის სურვილი?
- მოწონთ თუ არა მათ თბილისური ბომონდის ის ცხოვრებისეული დეტალები, რომლებიც ამ გადაცემების ფარგლებში შექდება?

## მეთოდები

პოპულაცია არის თბილისის მოსახლე მოზარდი გოგონები, რომლებიც ცენტრალურ უბნებში ცხოვრობენ. შესაბამისად, შერჩევა არის არარეპრეზენტატული და მთელი ქალაქის მოსახლე მოზარდებზე ვერ განხორციელდება.

შერჩევის ტიპი არის არაალბათური ანუ ეს არ იქნება მათემატიკური გათვლებით განხორციელებული შერჩევა. ყველა წევრს არ აქვს თანაბარი შანსი კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. მთლიანი პოპულაციიდან შემთხვევითი შერჩევის გზით შეირჩევა საკვლევი ობიექტები.

კვლევა არის თვისებრივი და გამოიყენება მისი ერთ-ერთი მეთოდი – ინტერვიუ.

### ინტერვიუ

1. რამდენად ხშირად უყურებთ ქართულ გლამურულ გადაცემებს?
2. გიყვართ თუ არა მოდურად ჩაცმა?
3. თვლით თუ არა, რომ თბილისი მოდური ქალაქია და რატომ?
4. არის თუ არა მოდურად ჩაცმა და გასართობად პრესტიჟულ ადგილებში სიარული საზოგადოებაში თავის დამკვიდრების საშუალება?
5. სად იძენთ სამოსს და თავის მოვლის საშუალებებს?
6. ქართულ ტელესივრცეში არსებობს შემდეგი გადაცემები: “თბილისი LIVE”, “დღის შოუ”, “ყოფილი ცოლების კლუბი”, “პროფილი.” ჩამოთვლილი გადაცემების წამყვანებიდან არის თუ არა რომელიმე თქვენთვის მისაბაძი მაგალითი და რატომ?
7. გაქვთ თუ არა ამორჩეული ქართულ ტელესივრცეში ფავორიტი გადაცემა და რატომ?
8. კმაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი გარეგნობით და შეცვლილით თუ არა მასში რამეს?
9. თქვენი აზრით, ამ გადაცემების ტელესივრცეში გამოჩენის შემდეგ, უფრო მიაქციეთ თუ არა ყურადღება საკუთარ გარეგნობას?
10. ტელევიზორში კარგი გარეგნობის მდედრობითი სქესის ადამიანის თვალისდევნებისას, გიჩნდებათ თუ არა მოთხოვნები საკუთარი თავის მიმართ, რომ თქვენც ასეთი უნდა იყოთ?

11. მოგწონთ თუ არა თბილისური ბომონდის ის წევრები, რომლებიც მუდმივად ჩანან ტელევიზორში?
12. წარმოგიდგენიათ თუ არა საკუთარი თავი ასეთი წრის ადამიანებს შორის?
13. თქვენი აზრით, მისაღებია თუ არა ტელევიზით მათი საქმიანობების ხშირი დოზით გაშუქება და რატომ?
14. თქვენ რომ იყოთ ტელევიზიის ხელმძღვანელი, გაუშვებდით თუ არა მსგავს გადაცემებს და რატომ?
15. რას შეცვლიდით ან არ შეცვლიდით ამ გადაცემების ფორმატში?
16. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამ გადაცემების რეიტინგულობას?
17. რომელი გადაცემის წამყვანად ისურვებდით ყოფნას და რატომ?
18. სარგებლობთ თუ არა იმ სილამაზის სალონებით და ესთეტიკური ცენტრებით, რომლებშიც ამ გადაცემების წამყვანები და გმირები დადიან?
19. შეიცვალა თუ არა რამე თქვენს ცხოვრებაში ამ გადაცემების გამოჩენის შემდეგ?
20. ამ გადაცემებში ხშირად ინფორმაციას ავრცელებენ, რომ რომელიმე კონკრეტულ დღეს რაღაც ივენტი იმართება. მიდიხართ თუ არა იმ ადგილას?
21. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს გადაცემები გავლენას ახდენს მოზარდ გოგონებზე და რატომ?

ეს არის 21 ძირითადი კითხვა, რომელიც ემსახურება კვლევის მიზნის მიღწევას. ინტერვიუს მსვლელობისას, შესაძლებელია, რომ საუბრიდან გამომდინარე დამატებითი კითხვებიც წამოიჭრას. რესპონდენტს საშუალება არ ექნება კითხვა გამოტოვოს, რადგან ინტერვიუერი ჩაეკითხება და მეტი შანსია, რომ საკმარისი ინფორმაცია მოგროვდეს. ამ კვლევისთვის ინტერვიუს მეოთხი გამოდგება იმიტომ, რომ იგი თვისებრივ მონაცემებს შესძენს კვლევას, რაზეც ის დაყრდნობილია. ინტერვიუს საშუალებით ვიღებთ ტექსტურ მონაცემებს ადამიანების შესახებ: მათ შეხედულებებს, სოციალური ცხოვრების სტილს, დამოკიდებულებას საკვლევი ოემის მიმართ. დია კითხვების საშუალებით, რესპონდენტი შეუზღუდავია პასუხის გაცემის დროს და თავისუფლად აფიქსირებს საკუთარ აზრს.

## **ბიბლიოგრაფია:**

1. [http://www.media-awareness.ca/english/issues/violence/effects\\_media\\_violence.cfm](http://www.media-awareness.ca/english/issues/violence/effects_media_violence.cfm)
2. მედია ეფექტები – Communication for Governance & Accountability Program
3. უთარა მანოპარი, 2010 – Media Effects on Teenagers
4. <http://www.newswriting.org/100/100xeffects.pdf> - Mass Media and Society
5. .ჰოფშირი&გრინბერგი, 2002, როგორ ახდენს მედია გავლენას მოზარდებზე.
6. ჯონ ლ.შერი, ფურდუს უნივერსიტეტი, 2004, მედია ეფექტები.
7. მაქლუანი, მარტალი, ლონდონი, 1999, History and Theory of New Media
8. <http://oregonstate.edu/instruct/comm321/gwalker/effectsmedia.htm> - Media Effects Theory
9. ქრეიგ ანდერსონი, ლეონარდ ბერკოვიცი, ედვარდ დონერშტაინი, 2003, The Influence of Media Violence on Youth.
10. <http://www.peersunited.com/media-influencing-teenagers/> - How Media Effects on Teenagers
11. [www.imedi.ge](http://www.imedi.ge)
12. [www.forum.ge](http://www.forum.ge)